საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 458 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/11/2018, 300160070.10.003.020839) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ვ) არომატიზებულ ღვინოში:

ზ.ვ.ა) მშრალ ღვინოში არა უმეტეს 50 გ/ლ-ისა;

ზ.ვ.ბ) ნახევრად მშრალ ღვინოში 50 გ/ლ-ზე მეტსა და არა უმეტეს 90 გ/ლ-ისა;

ზ.ვ.გ) ნახევრად ტკბილ ღვინოში 90 გ/ლ-ზე მეტსა და არა უმეტეს 130 გ/ლ-ისა;

ზ.ვ.დ) ტკბილ ღვინოში არანაკლებ 130 გ/ლ-ზე და მეტს;".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**